შპს აღმოსავლეთ -დასავლეთ უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი

კოდი: EWU_0003
დამტკიცებულია: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ
დამტკიცების თარიღი: 11 თებერვალი 2025
გადაწყვეტილების/ბრძანების ნომერი: N 01-12

ცვლილება შესულია:
შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 23 დეკემბრის N01 - 176 ბრძანებით

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 2

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების ფარგლები 2

მუხლი 2. კოდექსის შემუშავების მიზანი 2

მუხლი 3. ეთიკის ძირითადი პრინციპები 2

თავი II. ეთიკური ქცევის წესები 3

მუხლი 4. ეთიკის ზოგადი ნორმები უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისთვის 3

მუხლი 5. ეთიკის სპეციალური ნორმები უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის 4

მუხლი 6. ეთიკის ნორმები უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის 4

თავი III. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება 5

მუხლი 7. დისციპლინური პასუხისმგებლობა 5

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები 6

მუხლი 9. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები 6

მუხლი 10. დისციპლინური წარმოების დაწყება 6

მუხლი 11. დისციპლინური კომისიის მიერ საკითხის განხილვის წესი 7

მუხლი 12. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი 8

თავი IV. აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტში 9

მუხლი13. აკადემიური თავისუფლება 9

თავი V. დასკვნითი დებულებები 10

მუხლი 14. კოდექსის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა 10

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების ფარგლები

1. შპს აღმოსავლეთ -დასავლეთ უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ეთიკის კოდექსი (შემდგომშ კოდექსი) განსაზღვრავს უნივერსიტეტში ქცევის ზოგად წესს და ადგენს ეთიკურ სტანდარტებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის განხორციელებისას.
2. კოდექსი არეგულირებს როგორც უნივერსიტეტის სივრცეში, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ ისეთ ქცევას, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის საქმიანობას, აზიანებს მის რეპუტაციას ან ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ეთიკურ სტანდარტებს.
3. კოდექსის დარღვევის შემთხვევაში პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები და განხორციელდეს დისციპლინური წარმოება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. წინამდებარე კოდექსი წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტს და იგი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისა და უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის.
5. წინამდებარე კოდექსი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა შიდასამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. კოდექსის შემუშავების მიზანი

1. ეთიკის კოდექსის შემუშავების მიზნებს წარმოადგენს:

   ა) უნივერსიტეტში მაღალი ეთიკური კულტურის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის დამკვიდრება და განმტკიცება;

   ბ) უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა და სტუდენტთა ქცევის ერთიანი ეთიკური სტანდარტების განსაზღვრა, ურთიერთპატივისცემაზე, სამართლიანობაზე, თანასწორობასა და ადამიანური ღირსების დაცვაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფა;

   გ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის განხორციელებისას ეთიკური ნორმების დაცვის ხელშეწყობა და ეთიკის პრინციპებთან შეუსაბამო ქცევის პრევენცია;

   დ) დისკრიმინაციის, შევიწროების, ინტერესთა კონფლიქტის ან სხვა არაეთიკური ქმედებების თავიდან აცილება და მათზე სათანადო რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა;

   ე) უნივერსიტეტის რეპუტაციის, ავტორიტეტისა და საზოგადოების ნდობის დაცვა და განმტკიცება;

   ვ) ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში სამართლიანი, გამჭვირვალე და პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა;

   ზ) უნივერსიტეტის აკადემიური და სამუშაო გარემოს ჯანსაღი, უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული კულტურის განვითარება.

მუხლი 3. ეთიკის ძირითადი პრინციპები

1. უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი ძირითადი ეთიკური პრინციპებით:

ა) აკადემიური კეთილსინდისიერება – პატიოსნების, ობიექტურობისა და სამართლიანობის დაცვა სწავლების, შეფასების, სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობის ყველა ეტაპზე;

ბ) კანონისა და შიდა სამართლებრივი აქტების დაცვა – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, შინაგანაწესისა და წინამდებარე ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა შესრულება;

გ) თანასწორობა და ადამიანის ღირსების პატივისცემა –თანასწორი მოპყრობა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის დაუშვებლობა.პიროვნული ღირსების, თავისუფლებისა და პირადი სივრცის პატივისცემა, ღირსების შემლახავი ქცევის დაუშვებლობა;

დ) ურთიერთპატივისცემა და კოლეგიალურობა – აკადემიურ და სამუშაო ურთიერთობებში კორექტული, თავაზიანი და პროფესიული ქცევის დამკვიდრება;

ე) პასუხისმგებლობა და პროფესიული კეთილსინდისიერება – დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად, დროულად და სათანადო ხარისხით შესრულება;

ვ) ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება – უნივერსიტეტის ინტერესებთან შეუსაბამო ქმედებების დაუშვებლობა.

ზ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა – გადაწყვეტილებების მიღებისა და შეფასების პროცესში პირადი დამოკიდებულებებისგან თავისუფალი მიდგომა.

თ) გამჭვირვალობა და სამართლიანობა – საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამართლიანი და გამჭვირვალე პრინციპების დაცვა.

ი) კონფიდენციალურობის დაცვა – პერსონალური მონაცემების, აკადემიური და სამსახურებრივი ინფორმაციის დაცვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კ) აკადემიური თავისუფლების პატივისცემა – აზრის გამოხატვისა და კვლევის თავისუფლების უზრუნველყოფა ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში.

ლ) უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა – ძალადობის, შევიწროებისა და ნებისმიერი სახის ზეწოლისგან თავისუფალი აკადემიური და სამუშაო გარემოს შექმნა და შენარჩუნება.

თავი II. ეთიკური ქცევის წესები

მუხლი 4. ეთიკის ზოგადი ნორმები უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისთვის

1. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი შრომითი, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას მოქმედებს კეთილსინდისიერების, პასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემის, მიუკერძოებლობის, კანონიერების, სამართლიანობის, ობიექტურობისა და წინამდებარე კოდექსით დადგენილი ეთიკის პრინციპების, ასევე საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმების დაცვით.
2. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი ვალდებულია:

   ა) პატივი სცეს ადამიანის ღირსებას, უფლებებსა და თავისუფლებებს და თავი შეიკავოს დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი ან არაეთიკური ქცევისგან;

   ბ) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

   გ) კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სხვა დასაქმებულთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას და ფუნქციათა განხორციელებისას არ გაავრცელოს, არ გამოიყენოს და კოლეგებს არ მიაწოდოს განზრახ შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია;

   დ) არ დაუშვას მისთვის სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემების გაცემა, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ე) არ გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით;

ვ) არ დაუშვას კოლეგის/სტუდენტის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ამ ინფორმაციის მეშვეობით მათი ნებისმიერი სახის იძულება;

ზ) უნივერსიტეტში არ გამოცხადდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში;

თ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ქონებისადმი სათანადო მოპყრობა და მისი გამოყენება მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით;

ი) უარი თქვას ნებისმიერ საჩუქარზე/შეთავაზებაზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი მხრიდან კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

კ) არ დაუშვას უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში მონაწილეობა ან/და ვალდებულების აღება, რაც შეუთავსებელია უნივერსიტეტის ინტერესებთან ან ხელს უშლის სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელებაში. იმ შემთხვევაში, როცა შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტის რისკი, აღნიშნულის შესახებ აცნობოს ხელმძღვანელს და მხოლოდ მასთან შეთანხმებით განახორციელოს უნივერსიტეტის გარეთ დამატებითი საქმიანობა;

ლ) არ მოწიოს თამბაქო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, გარდა უნივერსიტეტის გარე პერიმეტრზე სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა;

მ) უნივერსიტეტის სახელით პრესასთან ან მასმედიის სხვა საშუალებებთან ოფიციალური განცხადებები გააკეთოს უნივერსიტეტის პრეზიდენტთან შეთანხმებით;

ნ) პატივი სცეს უნივერსიტეტის სახელსა და საქმიან რეპუტაციას, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

ო) უზრუნველყოს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;

პ) არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც არ არის მოხსენიებული წინამდებარე კოდექსში, თუმცა წარმოადგენს ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების უხეშ დარღვევას.

მუხლი 5. ეთიკის სპეციალური ნორმები უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის

1. ამ კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

   ა) სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების სისტემისა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა სტუდენტის სამართლიანად და ობიექტურად შეფასება;

   ბ) უზრუნველყოს სტუდენტთა თანაბარი მოპყრობა;

   გ) სასწავლო თუ კვლევითი პროცესის განხორციელების დროს უზრუნველყოს სტუდენტების მიერ აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, ნებისმიერი სახის შეზღუდვების გარეშე;

   დ) დაიცვას აკადემიური პატიოსნების პრინციპები, რაც გამორიცხავს პლაგიატს;

   ე) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

   ვ) არ დაუშვას სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება, დადანაშაულება ან/და ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია;

მუხლი 6. ეთიკის ნორმები უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

1. სტუდენტი ვალდებულია:

   ა) პატივი სცეს უნივერსიტეტში დასაქმებულ პერსონალს და სხვა სტუდენტებს, სასწავლო ან/და სამეცნიერო- კვლევითი პროცესების განხორციელებისას, პატივი სცეს ამ პროცესში ჩართული სხვა

პირების მოსაზრებებს, არ დაუშვას მათ მიმართ პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, ცილისწამება, იძულება ან/და ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

ბ) უნივერსიტეტში არ შეიტანოს ალკოჰოლური, ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი. ასევე, აკრძალულია აზარტული თამაშები და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული არამართლზომიერი ქმედების ჩადენა;

გ) უნივერსიტეტში არ გამოცხადდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

დ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ქონებისადმი სათანადო მოპყრობა და მისი გამოყენება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის;

ე) უზრუნველყოს თანამოსაუბრეებისადმი პატივისცემით მოპყრობა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას დაიცვას ეთიკის ნორმები;

ვ) არ მოწიოს თამბაქო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის ელექტრო სიგარეტი, გარდა უნივერსიტეტის გარე პერიმეტრზე სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა;

ზ) არ დაანაგვიანოს უნივერსიტეტის ტერიტორია;

თ) არ დააზიანოს ან/და არ განახორციელოს ნებისმიერი სახის უარყოფითი ზემოქმედება უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ პროგრამებზე/ელექტრონულ ბაზებზე;

ი) დაიცვას ეთიკის კოდექსი, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები, საგამოცდო პროცესის ორგანიზების წესი, ასევე უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები; კ) სტუდენტი ვალდებულია არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე, მათ შორის, პლაგიატი. სტუდენტის მხრიდან აკადემიურ სიყალბედ ჩაითვლება:

კ.ა) სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან გადაწერა, ან ისეთი სახის დამხმარე მასალის გამოყენება, რომელიც აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წინასწარ არ ყოფილა ნებადართული;

კ.ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირისთვის მის მაგივრად გამოცდის ჩაბარების შესახებ თხოვნა;

კ.გ) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება;

კ.დ) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩინება;

კ.ე) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან შეცვლა;

კ.ვ) აკადემიურ/მოწვეულ პერსონალზე ზეწოლა შეფასების მისაღებად;

კ.ზ) შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება;

კ.თ) სხვა სტუდენტისთვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვა, მართლსაწინააღმდეგო დაეუფლება ან/და განადგურებით;

კ.ი) სხვისი ხელმოწერის ან/და სხვა რაიმე დოკუმენტის გაყალბება.

ლ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას არ განახორციელოს აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის მომზადება ლექტორის ან/და სხვა მონაწილე სუბიექტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მ) არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც არ არის მოხსენიებული წინამდებარე კოდექსში, თუმცა წარმოადგენს ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების უხეშ დარღვევას.

თავი III. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

მუხლი 7. დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. დისციპლინური გადაცდომისთვის უნივერსიტეტის პერსონალის/სტუდენტის მიმართ გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს

დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და გარემოებები რომელთა არსებობის პირობებშიც იგი იქნა ჩადენილი.

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტში დასაქმებული პირის ან/და სტუდენტის მიერ:

   ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა, მათ შორის ისეთი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს და უკავშირდება უნივერსიტეტის საქმიანობას ან მისი სახელით განხორციელებულ ქცევას;

   ბ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან დარღვევა, მათ შორის უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, აგრეთვე სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველობა;

   გ) წინამდებარე ეთიკის კოდექსისა და კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების დარღვევა, მათ შორის ეთიკური ქცევის წესებისა და ეთიკური პრინციპების უგულებელყოფა;

   დ) ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ფორმალურად შესაძლოა არ წარმოადგენდეს ამ მუხლის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევას, თუმცა თავისი შინაარსით, ხასიათით ან შედეგებით:

   დ.ა) ლახავს უნივერსიტეტის, მისი თანამშრომლების, სტუდენტების ან საუნივერსიტეტო საზოგადოების პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას;

   დ.ბ) არღვევს ნდობას უნივერსიტეტის მიმართ;

   დ.გ) ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ავტორიტეტს, აკადემიურ ან პროფესიულ იმიჯს საზოგადოებაში.

მუხლი 9. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები

1. უნივერსიტეტში დასაქმებული პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებია:

   ა) შენიშვნა;

   ბ)გაფრთხილება;

   გ) შრომითი ანაზღაურების დაქვითვა (შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს);

   დ) თანამდებობიდან გათავისუფლება.

2. უნივერსიტეტის სტუდენტისთის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებია:

   ა) გაფრთხილება;

   ბ) შენიშვნა;

   გ) საყვედური;

   დ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტიპენდიით/შეთავაზებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან შეწყვეტა;

   ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

3. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

მუხლი 10. დისციპლინური წარმოების დაწყება

1. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია ვიცე-პრეზიდენტის, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსის, ასევე უნივერსიტეტში

დასაქმებული ნებისმიერი პირის ან/და სტუდენტის დასაბუთებული განცხადების/საჩივრის საფუძელზე, რომელსაც მიაჩნია, რომ პირის ქმედებით დაირღვა ან შესაძლოა დაირღვეს მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, ასევე ზიანი მიადგა ან მიადგება უნივერსიტეტის ინტერესებს, ან პირმა ჩაიდინა ისეთი ქმედება, რომლითაც დაარღვია წინამდებარე კოდექსი ან სხვა შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესები;

2. სტუდენტთა მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია უნივერსიტეტში დასაქმებული ნებისმიერი პირის ან/და სტუდენტის დასაბუთებული განცხადება/საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, ან ზიანი მიადგა ან შეიძლება მიადგეს უნივერსიტეტის ან სხვა პირების ინტერესებს.
3. დაინტერესებული პირი დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
4. დისციპლინური გადაცდომის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის არსებობის შემთხვეევაში, პრეზიდენტის ბრძანებით იქმნება დისციპლინური კომისია (შემდგომში - „დისციპლინური კომისია“), რომელსაც მიეწოდება შემოსული განცხადება/საჩივარი/ინფორმაცია/დოკუმენტაცია.
5. დისციპლინური კომისია განიხილავს შემოსულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.
6. დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში დისციპლინურ კომისიას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

   ა) შეისწავლოს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია, მოისმინოს დაინტერესებული მხარეების ახსნა - განმარტება;

   ბ) საკითხის ყოველმხრივ და ობიექტურად შესწავლის მიზნით გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია/მტკიცებულებები;

   გ) დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, უნივერსიტეტის პრეზიდენტს წარუდგინოს გადაწყვეტილება აღსრულებისათვის.
7. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტის პერსონალის/სტუდენტის მიმართ დაიწყება დისციპლინური წარმოება, იგი სარგებლობს შემდეგი უფლებებით:

   ა) მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

   ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

   გ) მიაწოდოს დისციპლინურ კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

   დ) მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვაში;

   ე) მოითხოვოს, რომ მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.
8. დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს სტუდენტს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრების და უსაფრთოების დაცვას.

მუხლი 11. დისციპლინური კომისიის მიერ საკითხის განხილვის წესი

1. დისციპლინურმა კომისიამ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით.
2. დისციპლინური კომისიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი პირი, ვის მიმართაც მიმდინარეობს წარმოება, მოითხოვს სხდომის გასაჯაროებას.
3. დისციპლინური კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

4. საჭიროების შემთხვევაში, დისციპლინური კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სხვა პირები.
5. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს დისციპლინურმა კომისიამ.
6. დისციპლინის დამრღვევს უფლება აქვს დაესწროს საკითხის განხილვას. დაასაბუთოს საკუთარი ქმედების შესაბამისობა ამ კოდექსისა და უნივერსიტეტის შიდა აქტებით განმტკიცებულ ძირითად პრინციპებთან.
7. დისციპლინურ კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე დისციპლინის დამრღვევის დასწრების გარეშე და სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი.
8. დისციპლინური კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. დისციპლინური კომისია ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის საქმის მასალას.
9. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს აღსასრულებლად, რის თაობაზეც გამოიცემა აქტი. პირი, რომლის მიმართაც გამოიცა გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, უფლებამოსილია აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს.

მუხლი 12. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.
2. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას დისციპლინური კომისია ვალდებულია გაითვალიწინოს დარღვევის (დარღვევების) სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული ზიანი. ასევე, დარღვევის განმეორებითი ხასიათი და დამრღვევის დამოკიდებულება ჩადენილ დისციპლინარულ გადაცდომასთან. დაკისრებული დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული/თანაზომიერი.
3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი ზომის გამოყენება აღინიშნება პირად საქმეში შეტანით.
4. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი ეგზავნება დისციპლინის დამრღვევს სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. სამართლებრივი აქტის ასლი ასევე უნდა დაერთოს დისციპლინის დამრღვევის პირად საქმეს.
5. უნივერსიტეტშ დასაქმებული პერსონალის მიმართ, რომელსაც დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი, სახდელის მოქმედების პერიოდში ვერ ისარგებლებს:
   ა) მატერიალური წახალისებით;
   ბ) უფრო მაღალ პოზიციაზე/თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანით;
6. ერთი წლის გასვლის შემდეგ პირი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.
7. პრეზიდენტს, უფლება აქვს ვადამდე ადრე მოუხსნას დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ პირმა არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა.
8. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნა შეიტანება პირად საქმეში.

თავი IV. აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტში

მუხლი13. აკადემიური თავისუფლება

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიურ თავისუფლებას როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის (განურჩევლად იმისა, იგი რა დატვირთვით ახორციელებს აკადემიურ საქმიანობას უნივერსიტეტში) ასევე სტუდენტებისათვის.
2. აკადემიური თავისუფლება აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის გულისხმობს სწავლების პროცესში დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, სრულ ჩაურევლობას სწავლების, დისკუსიების, კვლევებისა და პუბლიკაციების ნაწილში, ხოლო სტუდენტებისათვის - სწავლის პროცესში თავისუფლებას, ასევე პერსონალისა და სტუდენტების დაცვას მათზე ნებისმიერი ფორმის ზეგავლენის მცდელობისგან როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე უნივერსიტეტის გარედან, რამაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ შელახოს მათი აკადემიური თავისუფლება.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გარანტირებული აკადემიური თავისუფლება არ ათავისუფლებს პერსონალსა და სტუდენტებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შიდა რეგულაციების დაცვის ვალდებულებისაგან. აკადემიური საქმიანობის განხორციელების დროს პერსონალი სარგებლობს აკადემიური თავისუფლებით, თუმცა მას არ აქვს უფლება, საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში, განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელსაც კავშირი არ აქვს მის საქმიანობასთან. ამასთან, პერსონალი ვალდებულია ახსოვდეს, რომ მათი აკადემიური თანამდებობა შესაძლოა აკისრებდეს ეთიკის დამატებითი ნორმების დაცვის ვალდებულებას, იმის გათვალისწინებით, რომ მათ გამონათქვამებს, მეცნიერებისა და საგანმანათლებლო სფეროში საქმიანობის გამო, საზოგადოება შესაძლოა განიხილავდეს მათ პროფესიასა და დამსაქმებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირში. შესაბამისად, პერსონალი ვალდებულია, რომ მუდმივად გამოიჩინოს სიფრთხილე, თავშეკავება და პატივისცემა სხვების მიმართ და საკუთარი, როგორც მოქალაქის აზრის გამოთქმისას დააფიქსიროს, რომ ისინი კონკრეტულ ვითარებაში არ წარმოადგენენ ინსტიტუციურ პერსონალს.
4. ამ მუხლით გარანტირებული სტუდენტების აკადემიური თავისუფლება არ გამორიცხავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის უფლებას, სწავლების პროცესში მოითხოვოს სტუდენტისაგან, დაემორჩილოს აკადემიური პროცესის წარმართვისათვის დადგენილ მოთხოვნებს, არ შეაფასოს ნაშრომი, რომელიც არ აკმაყოფილებს აკადემიურ მოთხოვნებს, მოსთხოვოს სტუდენტს შეასრულოს ნაშრომი იმ ჭრილში, რომელიც გამყარებულია კონკრეტული პედაგოგიური მიზნებით, მიუხედავად იმისა ეთანხმება თუ არა სტუდენტი აღნიშნულ მოთხოვნებს, სწავლების პროცესში შეაფასოს სტუდენტის მუშაობა მისი დამოუკიდებელი, პროფესიული გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების გათვალისწინებით, მოსთხოვოს სტუდენტს დამატებითი სამუშაოს შესრულება, თუკი აღნიშნულის საჭიროება გამოწვეულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად და მოითხოვოს სტუდენტებისგან ყველა იმ შეზღუდვის გათვალისწინება, რაც დადგენილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მისაღწევად საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების საფუძველზე.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 14. კოდექსის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა

1. წინამდებარე კოდექსი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.
2. წინამდებარე კოდექსის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

"დამტკიცებულია"

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

გიორგი ხუროძე